

ბეთჰოვენის „ზაზუნა“ პატარა ჩრდილების თეატრში

ავტორი ირენა მახარაძე

„ჩვენ ვიცით ყველას სიყვარული“...

როცა სკოლის დერეფანში საკლასო ოთახებიდან ბავშვების სიმღერა მესმის, გულგრილად კარს ვერ ჩავუვლი, ვჩერდები და სუნთქვაშეკრული ვუსმენ, რა მონდომებით მღერიან. ერთ დღეს მუსიკის გაკვეთილზე ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „ზაზუნას“ სწავლობდნენ და ძალიან მომინდა, ეს ტკბილი ჰანგები ხელოვნების გაკვეთილზეც შემოგვეტანა. როცა მეხუთე კლასის მოსწავლეებს ჩემი იდეა გაუუხიარე, მოეწონათ, თან ჩვენ ხომ ჩრდილების თეატრისთვის ვეძებდით რაიმე საინტერესო სიუჟეტს, ჰოდა, ამაზე კარგს, ალბათ, ვერაფერს მოვიფიქრებდით.

მუსიკის მასწავლებელმა, ქალბატონმა ნინომ, გვიამბო, რომ საბავშვო სიმღერა „ზაზუნა“ („Marmotte“) ახალგაზრდა ბეთჰოვენს დაუწერია, 1790-1805 წლებში. იგი ერთ-ერთია 8 სიმღერიდან (8 Lieder, Op. 52, No. 7). სიმღერის ტექსტი კი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ეკუთვნის.

„ზაზუნა“ ბარიტონისა და პიანოსთვის დაიწერა. სიმღერის ლირიკული გმირი – სავოიელი ბიჭია, მოხეტიალე მუსიკოსი, რომელიც თავის ზაზუნასთან ერთად გერმანიის მდიდარი ქალაქების ქუჩებში ბარბითის ჰანგებზე ოთხფეხა განუყრელ მეგობარს აცეკვებდა, მღეროდა, ხალხს ართობდა, და ასე მოულობდა საჭმელსა და გროშებს.

სავოია კი ისტორიული მხარეა საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ალპების ძირას. ყოველთვის, როდესაც ალპების ხეობებში შიმშილი აუტანელი ხდებოდა, გლეხები თავიანთ შვილებს, დიდ ქალაქებში უშვებდნენ მოწყალების მისაღებად. ბაზრებში, სასტუმროებთან და ცნობილ სავაჭრო ქუჩებზე, სავოიელი ბავშვები ათასნაირ ფოკუსებს აჩვენებდნენ თავიანთ ზაზუნებთან ერთად, ხშირად ორდანის ან ბარბითის მუსიკის ფონზე ატარებდნენ ამ წარმოდგენებს. სწორედ ეს მოხეტიალე მუსიკოსები გამხდარან გოეთეს შთაგონების წყარო პოემაში „ბაზრობა პლუნდერსვილერნში“ და მან პიესაში ახალი პერსონაჟი შემოიყვანა – გლეხის ბიჭუნა, მოცეკვავე ზაზუნასთან ერთად, სიმღერით – «Ich komme schon durch manche Land...» („სულ მოვიარეთ მთა და ბარი, მე და ზაზუნამ ერთად...“).

ორიგინალში გერმანული და ფრანგული სტრიქონები ერთმანეთს ენაცვლება, რადგან სავოიელების ენა ფრანგულია.

მუსიკის გაკვეთილებზე ბავშვებმა ტექსტი ორიგინალში დაისწავლეს.

Ich komme schon durch manche Land,

Avecque la marmotte,

Und immer was zu essen fand

Avecque la marmotte,

Avecque si, avecque la,

Avecque la marmotte.

Ich hab' gesehen gar manchen Herrn,
Avecque la marmotte,
Der hätt die Jungfern gar zu gern,
Avecque la marmotte,
Avecque si, avecque la,
Avecque la marmotte.

Hab' auch gesehen die Jungfer schön,
Avecque la marmotte,
Die täte nach mir Kleinem sehn,
Avecque la marmotte,
Avecque si, avecque la,
Avecque la marmotte.

Nun laßt mich nicht so gehn, ihr Herrn,
Avecque la marmotte,
Die Burschen essen und trinken gern,
Avecque la marmotte,
Avecque si, avecque la,
Avecque la marmotte.

სანამ „ზაზუნას“ ჩრდილების თეატრზე მუშაობას შევუდგებოდით, ქართულად მოვისმინეთ ზურაბ ანჯაფარიძის მიერ შესრულებული არაჩვეულებრივი ვერსია (<https://www.youtube.com/watch?v=6wF5ZeAypAQ>), რომ კიდევ ერთხელ კარგად გაეაზრებინათ ტექსტის შინაარსი.

ჩვენ გვქონდა ხის ნაჭრებისგან შეკრული ჩარჩო, რომელიც ბავშვებს თეატრად უნდა გადაეციათ. მათ ჩარჩოზე ერთი მხრიდან პერგამენტის ღიდი ქაღალდი დააკრეს, რომელზეც ჩრდილების ფიგურები მკაფიოდ გამოჩნდებოდა მინათებულ შუქზე. თეატრის ჩარჩო ჯერ თეთრი გამოჭრილი ქაღალდებით გააფორმეს, შემდეგ წითელი საღებავით შეღებეს, ჩათვალეს, რომ ასე უფრო საზეიმო განწყობას შექმნიდნენ. (სურ.1).



შავ სქელ ქაღალდზე პერსონაჟების კონტურული გამოსახულებები დახატეს, გამოჭრეს და ქაღალდის წებოვანი ლენტით ხის ჩხირებზე დააწებეს.

დეკორაციებიც თავად მოიფიქრეს, ქალაქის ხედი, სახლებითა და გამოჭრილი ფანჯრებით, საიდანაც ერთგან ბეთჰოვენის სილუეტი იყურება, მერე პატარა ცნობისმოყვარე გოგონაც გამოკრთება. ასე საყვარლად ალაგებდნენ სიუჟეტის განვითარებას. (სურ.2)



ამბავი მზის ამოსვლით იწყება და ციდან დაშვებული ნოტებით სრულდება. წარმოდგენაში ქალაქი ჩნდება. ერთი სახლის ფანჯრიდან ბეთჰოვენი იხედება, რომელიც ქუჩაში გაშლილ ბაზრობას უყურებს. მის ყურადღებას იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარი პატარა ბიჭი იპყრობს, რომელიც თავის მოცეკვავე ზაზუნასთან ერთად მღერის თავის ბედზე, მიმშლილზე, ხეტიალზე. მისი სიმღერა გულისამაჩუყებელია. ბიჭი და ზაზუნა ტკბილი ჰანგებითა და სასაცილო ოინებით ცდილობენ გამვლელთა ყურადღების მიპყრობას, რომლებიც მოწყალებას გაიღებენ და ორიოდ გროშს მაინც გაიმეტებენ „სმა-ჭამა უყვართ, თუ ეღირსათ“... „ჩვენ ვიცით ყველას სიყვარული, მე და ზაზუნამ ერთად“... (ვიდეო)



დაასკანირე QR კოდი

„ზაზუნას“ წარმოდგენა კამერულად, საკლასო ოთახში ჩავატარეთ, ვიდეოც გადავიღეთ ჩვენი სკოლის ხელოვნების გვერდზე შესანახად. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ბავშვებმა ფიგურები საგულდაგულოდ ჩაალაგეს ერთ ყუთში, რომ არ დაზიანებოდათ და სხვა დროსაც შეძლებოდათ „ზაზუნას“ ამღერება, რაღაც დეტალების შეცვლა, დამატება, თამაში. (სურ.3)



ჩრდილების თეატრზე მუშაობა ბავშვებს ძალიან უყვართ. „ზაზუნას“ გარდა, კიდევ რამდენიმე წარმოდგენა გავაკეთეთ ქართული მულტფილმების სიმღერების თანხლებით.

იმედი მაქვს, მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებზე გაცოცხლებულ ამბებს, მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს ყველანი სათავისოდ ძვირფას მოგონებებში შეინახავენ, ისევე როგორც ხშირად წაღიღინებულ „ზაზუნას“ მელოდიას – „ჩვენ ვიცით ყველას სიყვარული“...